შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგი

2025 წლის თვითმმართველობის ანგარიში

კორპორატიული ღონისძიების ორგანიზება საახალწლო ღონისძიება

2025 წლის იანვრის თვეში კოლეჯი ამაგის თვითმმართველობის ორგანიზებით გაიმართა კორპორატიული საახალწლო საღამო. თვითმმართველობის ინიციატივით მოეწყო საღამო, სადაც პროფესიულმა სტუდენტებმა წაიკითხეს ლექსები, წარმოადგინეს საცეკვაო და მუსიკალური ნომრები. კურსდამთავრებულებს საზეიმო ვითარებაში გადაეცათ დიპლომები.

სტომატოლოგთა დღესთან დაკავშირებით დაგეგმილი აქტივობა

თვითმმართველობის ინიციატივით გაიმართა თებერვლის თვეში სტომატოლოგთა საერთაშორის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება. პროფესიულმა სტუდენტებმა წარმოადგინეს პრეზენტაციები, მითი თუ რეალობა, თანამედროვე სტომატოლოგიური ტექნოლოგიები, ჰოლივუდის ღიმილი და სხვა. გაიმართა დისკუსია. მონაწილეებს გადაეცათ მადლობის სერტიფიკატები

მითია
თუ
რეალობა?

პოეზიის საღამო

თვითმმართველობის ინიციატივით კოლეჯში გაიმართა ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება. საზეიმოდ აღინიშნა ქალთა საერთაშორისო დღე, პროფესიულმა სტუდენტებმა წარმოადგინეს პრეზენტაციები, დამსწრეებმა მოისმინეს ქალთა მიძღვნილი ლექსები და სიმღერები.

ექთნის დღესთან დაკავშირებით დაგეგმილი ღონისძიება

თვითმმართველობის ინიციატივით მაისის ექთნის დღესთან

დაკავშირებით კოლეჯში გაიმართა ღონისძიება. პროფესიულმა

სტუდენტებმა წარმოადგინეს პრეზენტაციები სახვადასხვა თემებზე.

ექთნის საერთაშორისო დღე მიულოცეს პროფესიულ განათლების

მასწავლებლებს და ინსტრუქტორებს .

COMMUNITY COLLEGE AMAGI LLC

COLLEGE AMAGI
COMMUNITY COLLEGE AMAGI LLC

გასვლითი ღონისძიებების ორგანიზება სტუდენტებისთვის

გასვლითი ღონისძიება თვითმმართველობის მიერ მოეწყო მარტვილის

კანიონში, სტუდენტებმა მოინახულეს მარტვილის კანიონი და დადიანების

საზაფხულო რეზიდენცია.

პროფესიულ სტუდენტთა შემოქმედებითი გამოფენა

ივნისის თვეში კოლეჯ ამაგში გაიმართა გამოფენა, სადაც პროფესიულმა სტუდენტებმა გამოიტანეს ხელნაკეთი ნივთები და ნახატები.

პროფესიული პროგრამის პოპულარიზაცია სკოლებში

კოლეჯმა "ამაგმა" უმასპინძლა გორისა და გორის რაიონის საჯარო და კერძო სკოლების მოსწავლეებს.

ვიზიტის ფარგლებში, მოსწავლეები დეტალურად გაეცნენ კოლეჯში არსებულ სხვადასხვა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს, რაც მათ დაეხმარებათ მომავალი პროფესიის არჩევაში. მათ ასევე საშუალება მიეცათ შეხვედროდნენ დარგის კვალიფიციურ სპეციალისტებს, დასვეს კითხვები და მონაწილეობა მიიღეს საინტერესო პრაქტიკულ ცდებში კოლეჯის ლაბორატორიაში.

1. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს:
2. გორის მეცნიერებათა სკოლის მოსწავლეებმა
3. ბერშუეთის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა
4. ერგნეთის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა
5. ხიდისთავის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა
6. გორის სკოლა "ეისი" -ის მოსწავლეებმა
7. გორის მე-4 საჯარო სკოლის მოსწავლეებმა
8. გორის მე-7 საჯარო სკოლის მოსწავლეებმა

COMMUNITY COLLEGE AMAGI LLC
JOKER

სპორტული განათლების ფესტივალი ფრენბურთში

ქ. მცხეთის სპორტულ კომპლექსში გაიმართა სპორტული ფესტივალი ფრენბურთში, რომელიც ჩატარდა ექსტრაკურიკულური აქტივობების ფარგლებში,სპორტულ ფესტივალში აქტიურად მონაწილეობდნენ შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის პროფესიული სტუდენტები. შეჯიბრებების დასასრულს გაიმართა საზეიმო დაჯილდოების ცერემონიალი, სადაც გამარჯვებულ გუნდებსა და მოთამაშეებს თასები და ინდივიდუალური ჯილდოები გადაეცათ.

KASA

EuroVolley.TV
KASA

#EuroVolleyU17M

სპორტული ღონისძიება „მხიარული სტარტები“

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი "ამაგი" მასპინძლობდა სახალისო და ენერგიულ სპორტულ ღონისძიებას „მხიარული სტარტები“, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს როგორც სსიპ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრის, ასევე კოლეჯ „ამაგის“ პროფესიულმა სტუდენტებმა.

ღონისძიება გაჯერებული იყო მეგობრული სულისკვეთებითა და გუნდური თამაშებით.

მონაწილეებს გადაეცათ სიგელები.

ადგილობრივი კულტურული ლოკაციების მონახულება

შინდისის ახალგაზრდული კლუბის ორგანიზებით, ქეა კავკასიის პროექტის „ახალგაზრდების ხმა მომავლისთვის“ ფარგლებში გაიმართა ახალგაზრდული ფესტივალი.

ღონისძიებას ესწრებოდა პროზაიკოსი, კინოსცენარისტი, ესეისტი, ლექტორი, ტელეწამყვანი, წიგნის მუზეუმის დამაარსებელი და პრესის მუზეუმის დამფუძნებელი — გიორგი კეკელიძე.

ფესტივალს აქტიურად შეუერთდნენ შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის პროფესიული სტუდენტებიც.

ისინი მოსწავლე-ახალგაზრდობასა და დამსწრე საზოგადოებას გაეცვნენ და წარუდგინეს კოლეჯის მიერ განხორციელებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები


კოლეჯ
„ამაგი“
ღიაა ინოვაციისა,
შემოქმედებისა
და
გოლოვინისადმი
2023
კოლეჯი ამაგი
COLLEGE AMAGI
კოლეჯი ამაგი • College Amagi
@college.amagi

ფარმაცევტთა საერთაშორისო დღე

შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ამაგში 25 სექტემბერს აღინიშნა ფარმაცევტის საერთაშორისო დღე . შეხვედრის ფარგლებში განიხილეს ფარმაცევტების პროფესიის თანამედროვე გამოწვევები და მათი მნიშვნელოვანი წვლილი საზოგადოებრივი ჯანმრთელობის გაუმჯობესებაში.

შემეცნებითი ექსკურსია

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა "ფარმაცია (სააფთიაქო)" პროფესიული სტუდენტები იმყოფებოდნენ ძამას ხეობაში.

პროფესიული სტუდენტებისათვის დაიგეგმა შემდეგი აქტიობები:

სამკურნალო მცენარეების დაკვირვება და მათში მიმდინარე ბიოპროცესების შესწავლა ღვინოვანი ბუნებისფერი

ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის უძველესი "კარაბადინის" შესწავლა, სადაც აღწერილია სამკურნალო ფორმების ტექნოლოგიური პროცესები და მათი გამოყენება სხვადასხვა დაავადებაში

აბრეშუმის გზაზე არსებული ისტორიული ეკლესია-მონასტრებისა და მიმდებარე ტერიტორიების დაათვალიერება

სასწავლო წლის დაწყება

შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ამაგში 25 ნოემბერს საზეიმო ვითარებაში აღინიშნა 2025 წელს ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისათვის სასწავლო წლის დაწყება.

პროფესიულ სტუდენტებს კოლეჯის დირექტორმა, კოლეჯის დამფუძნებელმა, პროფესიული პროგრამების ხელმძღვანელებმა სიტყვით მიმართეს და პროფესიულ სტუდენტებს მიულოცეს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება.

პროფესიულმა სტუდენტებმა წარმოადგინეს საცეკვაო და მუსიკალური ნორები.

კოლეჯი ამაგი
COLLEGE AMAGI
AMAGI LLC
0 (370) 27 05 57
amagi.edu.ge

WELCOME 2023

კოლეჯი ამაგი
COLLEGE AMAGI

კორპორატიული ღონისძიების ორგანიზება საახალწლო ღონისძიება

კოლეჯი ამაგის თვითმმართველობის ორგანიზებით გაიმართა კორპორატიული საახალწლო საღამო.

თვითმმართველობის ინიციატივით მოეწყო საღამო, სადაც პროფესიულმა სტუდენტებმა წაიკითხეს ლექსები, წარმოადგინეს საცეკვაო და მუსიკალური ნომრები.

კურსდამთავრებულებს საზეიმო ვითარებაში გადაეცათ დიპლომები.